მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისის, ფალიაშვილის ქ. №27/29, II სართული
ტელეფონი: (+995 32) 2 22 38 74 / 2 29 27 73
ფაქსი: (+995 32) 2 22 38 74
ელ–ფოსტა: greenalt@greenalt.org

N 04 /06–141
"16" იანვარი, 2012

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრს
ბატონ გოგა ხაჩიძეს,

საჯარო ინფორმაციის მოწოდების თაობაზე

ბატონო გოგა,

საქართველოს კანონში „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შესახებ" შეტანილი ცვლილებების შესაბამისად (8.11.2011. N5201), თქვენ დაგევალათ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების (გარდა ტყვეობაში გამრავლებულისა) მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) დასაშვები ოდენობის განსაზღვრა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების გარეთ გავრცელებული შემდეგი სახეობების რაოდენობის შესახებ:

- მურა დათვი
- ირემი
- დასავლეთ კავკასიური (ყუბანური) ჯიხვი
- აღმოსავლეთ კავკასიური (დაღესტანური) ჯიხვი
- ნიამორი
- კავკასიური როჭო
- კასპიური შურთხი

ამ სახეობების რიცხოვნობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისას გთხოვთ მიუთითოთ, როგორაა განაწილებული ამ სახეობების ეს საერთო რაოდენობა, მაგალითად, ადმინისტრაციული რაიონების ან მდინარეთა ხეობების მიხედვით.

ამასთანავე გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია:

- ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების გარეთ ტერიტორიებზე რამდენი ერთ წლამდე დათვის ბელი ბინადრობს;
- ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების გარეთ ტერიტორიებზე რამდენი მდედრი დათვი ბინადრობს, რომელსაც ჰყავს ერთ წლამდე ბელი;
- ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების გარეთ ტერიტორიებზე ჯიხვის (ორივე სახეობის ცალ-ცალკე) რამდენი მამრი ინდივიდი ბინადრობს, რომლის რქის სიგრძეც (მრუდზე) 100 სმ-ზე ნაკლებია;
- ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების გარეთ ტერიტორიებზე ირმის რამდენი მამრი ინდივიდი ბინადრობს, რომლის რქებიც არ არის დატოტვილი ან/და დატოტვილია და მთავარი ღერძის სიგრძე 90 სმ-ზე ნაკლებია;
- ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების გარეთ ტერიტორიებზე რამდენი მამალი კავკასიური როჭო ბინადრობს;
- ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების გარეთ ტერიტორიებზე რამდენი მამალი კასპიური შურთხი ბინადრობს.

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

პატივისცემით,

ირაკლი მაჭარაშვილი
ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი